

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 1

ამნისტია

## ამნისტია

### განჩინება

#694-აპ

6 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. კ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივლისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 აპრილის განაჩენით კ. კ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით და მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის განაჩენით კ. კ-ს შერჩეული პირობითი მსჯავრი, (გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 დეკემბრის დადგენილებით, კ. კ-ძეს გაუნაზღვრდა გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის განაჩენით დანიშნული ძირითადი სასჯელის -1 წლით თავისუფლების აღკვეთის მოუხდელი ნაწილი და სასჯელის ზომად დარჩა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით).

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული განაჩენით დანიშნულ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -5 თვე, 29 დღე და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 8 წლით, 5 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა. კ. კ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 14 დეკემბრიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ კ. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

კ. კ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, რომელსაც უკანონოდ ინახავდა.

2008 წლის 14 დეკემბერს შსს გორის რაიონული სამმართველოს #2 განყოფილების თანამშრომლებმა გორის რაიონის სოფელ არაშენდაში დააკავეს კ. კ-ძე, რომელსაც პირადი ჩხრეკის შედეგად ამოუღეს მის მიერ უკანონოდ შეძენილი და შენახული, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით -0,1364 გრამი.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივლისის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული კ. კ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო; მას ნარკოტიკული საშუალება არ ჰქონია და არც მისი მომხმარებელია.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქ-

მეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და კ. კ-მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის.

მსჯავრდებულ კ. კ-მის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით: მოწმეების -გ. ლ-ს, ბ. გ-ს, რ. ხ-ს ჩვენებებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ კ. კ-მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება -, შემამსუბუქებელი გარემოება არ გააჩნია და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულ კ. კ-მის მიმართ გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 16 აპრილის განაჩენით დანიშნულ სასჯელს -8 წლით თავისუფლების აღკვეთას -დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი -5 თვე და 29 დღე, რითაც მას, განაჩენთა ერთობლიობით, დაენიშნა საბოლოო სასჯელი.

ვინაიდან საკასაციო პალატა იხილავს მსჯავრდებულ კ. კ-მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეს (დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით) და მსჯელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენის კანონიერებაზე, რა დროსაც, 2009 წლის 20 ნოემბერს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "ამნისტიის შესახებ" და აღნიშნული კანონი შეეხო კ. კ-მის მიმართ წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, ასევე, ამავე კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება), მსჯავრდებულ კ. კ-მეს წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით საბოლოოდ დანიშნული სასჯელი -5 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა უნდა გაუნახევრდეს და, შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს კ. კ-მის მიმართ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელის ზომაში. მას საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 8 წლით, 2 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა დაეწყოს 2008 წლის 14 დეკემბრიდან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივლისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, ასევე, ამავე კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება) მსჯავრდებულ კ. კ-მეს გაუნახევრდეს გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივლისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით საბოლოოდ დანიშნული სასჯელი -5 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 2 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ კ. კ-მეს საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, მოსახდელად განესაზღვროს 8 წლით, 2 თვითა და 29 დღით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2008 წლის 14 დეკემბრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ამნისტია

### განჩინება

#1000-აპ

11 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),  
დ. სულაქველიძე,  
ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების -ო. ს-სა და დ. ნ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20 ნოემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 17 ივლისის განაჩენით ვ. ნ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით 14 წლით თავისუფლების აღკვეთა, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით -5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 238<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით -ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ვ. ნ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 5 თებერვლიდან.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ვ. ნ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 4 თებერვალს, საღამოს, დაახლოებით 23 საათზე, სიღნაღის რაიონის ქ. წნორში, ნ. ფ-ს სახლში, ალკოჰოლური სასმელი დალიეს და დათვრნენ ვ. ნ-ი, ი. ს-ი, გ. ჯ-ი და ჯ. კ-ი. 5 თებერვლის ღამეს, დაახლოებით 3 საათზე, ნ. ფ-ი, ვ. ნ-ი, ი. ს-ი და გ. ჯ-ი გავიდნენ ქუჩაში სიგარეტის საყიდლად. რადგან სიგარეტი ვერ იყიდეს, მათ გადაწყვიტეს სახლებში წასვლა. ვ. ნ-ს არ უნდოდა სახლში წასვლა და ნ. ფ-ს უსაყვედურა, თუ რატომ ტოვებდა მას მარტო ქუჩაში. მათი კამათი ჩხუბში გადაიზარდა. გ. ჯ-მა უსაყვედურა ვ. ნ-ს, რომ არ შეიძლებოდა ასე უმიზეზოდ კამათი და ჩხუბი. ამაზე განაწყენდა ვ. ნ-ი, გ. ჯ-ს დაუწყო კამათი და ჩხუბი იმ მიზეზით, თუ რატომ ჩაერია მის საქმეში. ჩხუბის დროს ვ. ნ-მა და გ. ჯ-მა ერთმანეთს აგინეს, გაარტყეს ხელი და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ვ. ნ-ი განაწყენდა გ. ჯ-ზე, ამავე დროს იცოდა, რომ იგი იყო არასრულწლოვანი და გადაწყვიტა მისი განზრახ მკვლელობა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი გაერიდა ზემოაღნიშნულ პირებს, წავიდა სახლში, სადაც აიღო ცივი იარაღი, კერძოდ -დანა, რომელიც შეიძინა წინა დღეს, რის შემდეგაც მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ი. ს-ს და ჰკითხა მათი ადგილსამყოფელი, თან დასძინა, რომ გ. ჯ-თან ჰქონდა საქმე. მან, 21 წლის ასაკს მიუღწევლმა პირმა, ცივი იარაღი თან წაიღო და ქ. წნორის ცენტრში შეხვდა გ. ჯ-ს, ი. ს-სა და ნ. ფ-ს. გ. ჯ-ს უთხრა, განცალკევებით ელაპარაკათ, რის შემდეგაც ისინი რამდენიმე ნაბიჯით ცალკე გავიდნენ. ვ. ნ-მა წინასწარ მომარჯვებული დანა რამდენჯერმე დაარტყა გ. ჯ-ს და მიაყენა დაზიანებები: გულმკერდის მარცხენა ნახევარში, უკანა ზედაპირზე -ნაჩხვლევ-ნაკვეთი ჭრილობა, რასაც მოჰყვა მარცხენა ფილტვის, კუჭის დიაფრაგმის, კუჭუკანა ჯირკვლის, ელენთის დაზიანება, რაც მიეკუთვნება მძიმე ხარისხის დაზიანებას. ასევე მიაყენა მას ჭრილობა მარცხენა იდაყვის სახსრის არეში, რაც მიეკუთვნება მსუბუქი ხარისხის დაზიანებას. გულმკერდის მარცხენა ნახევარში მიღებული ჭრილობის შედეგად გ. ჯ-ს განუვითარდა მწვავე, ზოგადი სისხლნაკლებობა და იგი 2009 წლის 5 თებერვალს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

იმავე დღეს შს სიღნაღის სამმართველოს თანამშრომლებმა დანაშაულის იარაღის დაძებნის მიზნით, გადაუდებელი აუცილებლობის გამო, მოსამართლის ბრძანების გარეშე, ჩაატარეს ვ. ნ-ს ბინის ჩხრეკა, რა დროსაც საძინებელ ოთახში არსებული საწოლის ქვემოდან ამოღებულ იქნა მომწვანო ფერის მცენარეული მასა. ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული ნივთიერება, წონით

26 გრამი, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება –გამომშრალ მარიხუანას, რაც ვ. ნ-ს გამოიე-  
ბით დაუდგენელ დროს უკანონოდ ჰქონდა შექმნილი და უკანონოდ ინახავდა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალა-  
ტის 2009 წლის 20 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ვ. ნ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები -ო. ს-ი და დ. ნ-ი საკასაციო სა-  
ჩივრით ითხოვენ განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ ვ. ნ-ი საქართველოს სსკ-  
ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ  
ბრალდებაში გამართლდეს და შეწყდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო 238<sup>1</sup>  
მუხლის პირველი ნაწილით –მიესაჯოს სასჯელის მინიმუმი. კასატორების მოსაზრებით, გასაჩივ-  
რებული განაჩენი არის უკანონო, საქმე განხილულია საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთ-  
ხოვნათა დარღვევით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის  
საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხო-  
ლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამარ-  
თლოებმა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა  
დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები,  
სათანადო შეფასება მისცეს საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა  
ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და ვ. ნ-შვილის მიერ ჩადენილი მარ-  
თლსაწინააღმდეგო ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის.

მსჯავრდებულ ვ. ნ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული  
შემდეგი მტკიცებულებებით: დაზარალებულის უფლებამონაცვლე ე. ფ-ს ჩვენებით, მოწმეების -ი.  
ს-ს, ნ. ფ-ს, ვ. კ-ს, მ. დ-ს, ნ. ლ-სა და სხვათა ჩვენებებით, კომისიური სასამართლო-სამე-  
დიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა  
მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის  
დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ვ. ნ-ს მიმართ სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინა  
მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება,  
პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი და შეუფარდა კანონით გათვალისწინებული სა-  
მართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის სა-  
ქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ ვ. ნ-ს სა-  
ქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი -5 წლით თავისუფ-  
ლების აღკვეთა -უნდა გაუნახევრდეს და მიესაჯოს 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვე-  
თა. მას სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 260-ე მუხლის პირველი ნაწი-  
ლით, 238<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 16 წლითა  
და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარის ოდენობით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“  
ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კა-  
ნონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით და

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 20  
ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირვე-  
ლი პუნქტის თანახმად, მსჯავრდებულ ვ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნა-  
წილით დანიშნული სასჯელი -5 წლით თავისუფლების აღკვეთა -გაუნახევრდეს და მიესაჯოს 2  
წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ ვ. ნ-ს საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით,  
260-ე მუხლის პირველი ნაწილით, 238<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით საბოლოოდ მოსახდელად

განესაზღვროს 16 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -2000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.  
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ამნისტია

### განჩინება

#10-აპ-2010

12 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ო. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ჭ-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-უას საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 სექტემბრის განაჩენით ი. ჭ-უა ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 273-ე მუხლით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ უკანონოდ შეიძინა და მოიხმარა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ; ასევე -ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში:

ზუგდიდში მცხოვრებ ი. ჭ-უას ჰქონდა ც. ქ-ვას ვალი -400 ლარი. 2009 წლის 7 მარტს, დაახლოებით 17 საათზე, იგი მივიდა ც. ქ-ვას სახლთან, სადაც მათ მოუხდათ შელაპარაკება ვალთან დაკავშირებით. ი. ჭ-უა დაემუქრა ც. ქ-ვას სიცოცხლის მოსპობით. კონფლიქტური სიტუაცია მხოლოდ ვ. ქ-ვას ჩარევით განიმუხტა. იმავე დღეს, დაახლოებით 22 საათზე, მსჯავრდებული კვლავ მივიდა ქ-ვების სახლთან, სადაც ილანძვებოდა, ემუქრებოდა ც. ქ-ვასა და მისი ოჯახის წევრებს და ცდილობდა სახლში შესვლას, რაც ვერ მოახერხა ოჯახის დიასახლისის -ი. ქ-ვას წინააღმდეგობის გამო. წასვლისას მან დაიბარა, რომ დაბრუნდებოდა და ყველას ბოლოს მოუღებდა, რადგან ც-მ ფულის დაბრუნება მოსთხოვა.

დაახლოებით 23 საათზე ი. ჭ-უა მესამედ მივიდა ც. ქ-ვას სახლთან, დაუძახა და მიმართა უცენზურო სიტყვებით, შემდეგ კი დანით სიცოცხლისათვის სახიფათო მძიმე დაზიანება მიაყენა ც. ქ-ვას, კერძოდ, გულმკერდის ღრუს მარჯვენა ნახევარში შემავალი ჭრილობა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 20 მარტის დადგენილებით, ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ი. ჭ-უას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით განესაზღვრა 7 დღით პატიმრობა. მიუხედავად ამისა, მან დაუდგენელ დროსა და ვითარებაში კვლავ მიიღო „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალება და „მეტამფეტამინი“, რაც გამოვლინდა 2009 წლის 2 ივნისს ჩატარებული შემოწმებით.

2009 წლის 20 ივნისს ი. ჭ-უამ განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება. იმავე დღეს, ზუსტი დრო დაუდგენელია, იგი მივიდა ზ-ის რაიონის სოფელ ი-ში მცხოვრებ ზ. ე-იას საცხოვრებელ სახლთან, შეაღწია საძინებელ ოთახში და ფარულად გაიტაცა სხვადასხვა ნივთი, რითიც დაზარალებულს მიაყენა 990 ლარის ოდენობის მნიშვნელოვანი ზიანი. მოპარული ნივთები პოლიციელებმა ამოიღეს ი. ჭ-უას საცხოვრებელი სახლის ეზოში მდებარე ავტოფარეხიდან.

აღნიშნული ქმედებისათვის ი. ჭ-უას მიესაჯა: სსკ-ის 273-ე მუხლით -1 წლით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით -5 წლით, 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით, რომლის ათვლა დაეწყო 2009 წლის 24 ივნისიდან; მასვე სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალია დაკავების დრო -2009 წლის 3 ივნისიდან იმავე წლის 4 ივნისის ჩათვლით -2 დღე. მსჯავრდებულს 3 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა მ. ჭ-უამ და მოითხოვა თავისი დაცვის ქვეშ მყოფის გამართლება სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -ადვოკატი მ. ჭ-უა საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ი. ჭ-უას მიერ სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, კერძოდ: დაზარალებულ ც. ქ-ვას ჩვენებით, მსჯავრდებულს მისთვის დანა არ დაურტყამს, იგი ქუჩაში დაჭრა უცნობმა პირმა. რაც შეეხება მოწმე ი. ქ-ვას, მას არ შეეძლო დაენახა, ვინ დაარტყა დანა მის შვილს, რადგან შემთხვევა მოხდა ღამით, სიბნელეში. ვარაუდის გამო არ შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა. სასამართლომ სარწმუნოდ მიიჩნია საქმის ბედიტ დაინტერესებული პოლიციელების ჩვენებები, თითქოს მათ დაზარალებულმა საავადმყოფოში უთხრა, რომ დაჭრა ი. ჭ-უამ. ც. ქ-ვამ უარყო პოლიციელებთან საუბრის ფაქტი და განაცხადა, რომ დედამისი ცდება ი. ჭ-უას ამოცნობაში.

რაც შეეხება ქურდობას, მსჯავრდებულის ბინაში რაიმე კანონსაწინააღმდეგო ან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი არ აღმოჩნდა, ავტოფარეხში კი, რომლის კარი არ იკეტება, ყველას შეეძლო რაიმეს შენახვა. ნივთების ამოღების დროს ი. ჭ-უამ განაცხადა, რომ ისინი მას არ ეკუთვნოდა, რაც ჩხრეკის ოქმში არ დაუფიქსირებიათ. ჩხრეკა ჩატარდა დამსწრეებისა და თავად მსჯავრდებულის გარეშე და ოქმი მისთვის არ ჩაუბარებიათ. პოლიციელებს არ უცდიათ ამოღებული ნივთებიდან თითის კვალის აღება, რადგან კარგად იცოდნენ, რომ მათზე ი. ჭ-უას თითის ანაბეჭდები არ იქნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს განაჩენის გაუქმებას, ი. ჭ-უას მიმართ საქმის შეწყვეტას სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებებში, ხოლო 273-ე მუხლით მსჯავრდების ნაწილში -განაჩენის უცვლელად დატოვებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო საჩივარში მითითებულ მოტივებთან დაკავშირებით სრულად და ობიექტურად იმსჯელა ორივე ინსტანციის სასამართლომ და საქმის მასალები სწორად შეაფასა.

მსჯავრდებულის ჩვენების საპირისპიროდ, ც. ქ-ვამ სააპელაციო სასამართლოში დაადასტურა, რომ ი. ჭ-უას ჰქონდა მისი ვალი და ფულთან დაკავშირებით სწორედ შემთხვევის დღეს შეკამათდნენ. მანვე აღნიშნა, რომ დანა დაარტყეს უცნობმა პირებმა და არა -ი. ჭ-უამ.

უსაფუძვლოა კასატორის მოტივი, რომ დაზარალებულის დედა -ი. ქ-ვა ვერ დაინახავდა ბოროტმოქმედს. ეს უკანასკნელი საქმის წარმოების ყველა ეტაპზე დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერს მომხდარს. მან გარკვევით მიუთითა, რომ მოჩხუბრებთან ერთ მეტრში იდგა და კარგად დაინახა, როგორ დაარტყა მის შვილს დანა ი. ჭ-უამ და გაიქცა. ი. ქ-ვამ ასევე განაცხადა, რომ თავის შვილს არ სურდა ი. ჭ-უას დასჯა და ამიტომ დედას მოსთხოვა, არ გამოცხადებულიყო სასამართლოში და არ მიეცა ჩვენება.

ი. ჭ-უას ამხელს ვ. ქ-ვაც. იგი აღწერს, როგორ ლანძღავდა მისი ოჯახის წევრებს ი. ჭ-უა ქუჩიდან, რაც ც-მ ვერ მოითმინა და სახლიდან გავიდა. რამდენიმე წუთში მოესმა მეუღლის ყვირილი -მოკლესო და ც. დაჭრილი შეიყვანეს სახლში.

ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით საჩივრის მოტივის საპირისპიროდ, ი. ჭ-უამ სასამართლოს განუმარტა, რომ თავის ავტოფარეხში გარეშე პირი ნივთს ვერ შეინახავდა. რაც შეეხება ჩხრეკის ოქმზე ი. ჭ-უას ხელმოწერის არ არსებობას და მისი ასლის ჩაბარების საკითხს, აღნიშნული გარკვეულია პროკურორის მიერ შედგენილი ოქმით, რომელსაც ი. ჭ-უაც ადასტურებს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებები უტყუარად ადასტურებს ი. ჭ-უას მიერ მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი და დასაბუთებულია, ხოლო სასჯელის ნაწილში -სამართლიანი. იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად და მსჯავრდებულს გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ი. ჭ-უას ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ჭ-უას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს: "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ი. ჭ-უას გაუნახევრდეს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელის მოსახდელი ნაწილი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და ი. ჭ-უას საბოლოოდ განესაზღვროს 10 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ამნისტია**

**განჩინება**

#927-აპ

18 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 სექტემბრის განაჩენით გ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა" ქვეპუნქტით 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით (2008 წლის 17 მარტის ეპიზოდი) -ჯარიმა 3000 ლარის ოდენობით, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და განესაზღვრა ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით, 273-ე მუხლით (2008 წლის 31 აგვისტოს ეპიზოდი) -1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და მიესაჯა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის პირველი ნაწილით -1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე გაუნახევრდა და მიესაჯა 9 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, გ. მ-ძეს მიესაჯა 6 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1500 ლარის ოდენობით. დანიშნულ სასჯელს დაემატა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 სექტემბრის განაჩენით განსაზღვრული, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ამნისტირებული და განახევრებული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით გ. მ-ძეს სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1500 ლარის ოდენობით. გ. მ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 18 მარტიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 3 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის,



სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ვინაიდან გ. მ-მემ ორჯერ დაარღვია გირაოს პირობები, შეტანილი გირაო (2008 წლის 5 აპრილს სს „საქართველოს ბანკში“ შეტანილი საგირავნო თანხა 3500 ლარი და 2009 წლის 20 იანვარს სს ბანკ „რესპუბლიკაში“ შეტანილი საგირავნო თანხა -3000 ლარი) უნდა გადაირიცხოს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ნივთმტკიცება -2001 წლის 19 სექტემბერს გ. მ-მის სახელზე გაცემული მძღოლის მოწმობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ გ. მ-მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2009 წლის 19 მარტს, დაახლოებით 17 საათზე, გ. მ-მე იმყოფებოდა ქ. თბილისში, მიწისქვეშა გადასასვლელში, სადაც განიზრახა სხვისი მოძრავი ნივთის აშკარად დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მივიდა მის წინ მიმავალ ხ. ბ-თან, რომელსაც მარჯვენა მხარზე გადაკიდებული ჰქონდა ტყავის ყავისფერი ხელჩანთა, რაშიც მოთავსებული იყო 32 ლარი, შავი ფერის მობილური ტელეფონი „ნოკია“, რომლის იმეი კოდი, სიმ-ბარათი ნომრით, მოყვითალო ფერის ბეჭედი ორ წყვილ საყურესთან ერთად, ერთი ბეჭედი და თიხის ნაწარმისაგან დამზადებული სხვადასხვა ნაკეთობანი, ჩამოგლიჯა ჩანთა, რითაც დაზარალებულს მიაყენა 367 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი, აირბინა მიწისქვეშა გადასასვლელი და მიმალვის მიზნით გაიქცა მეტროსადგურ „ვაგზლის“ მიმართულებით. მას უკან დაედევნა ხ. ბ-ი, რა დროსაც გ. მ-მე დააკავეს შსს თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს მე-4 განყოფილების თანამშრომლებმა სადგურ „ვაგზლის“ წინ მდებარე ტერიტორიაზე, როდესაც იგი მიმალვას ცდილობდა.

2007 წლის 5 სექტემბერს გ. მ-მე გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლის ვადით, რაც, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა ერთი წელი. მიუხედავად ამისა, პირობით მსჯავრდებულმა გ. მ-მემ კვლავ ჩაიდინა ანალოგიური დანაშაული, კერძოდ, 2008 წლის 17 მარტს მან ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მოიხმარა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და დაახლოებით 18.00 საათზე ქ. თბილისში, ადმინისტრაციული წესით დააკავეს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის შს სამმართველოს თანამშრომლებმა და გადაიყვანეს ნარკოლოგიური ექსპერტიზის ცენტრში, სადაც ჩაუტარდა ნარკოლოგიური შემოწმება, რომლის #503629 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა ნარკოტიკული ნივთიერება „ოპიუმის“ მიღების ფაქტი. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გ. მ-მე მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბრალდებულის სახით და შეეფარდა გირაო - 3500 ლარი, რაც სრულად გადაიხადა. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მან 2008 წლის 31 აგვისტოს ექიმის დანიშნულების გარეშე კვლავ მოიხმარა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება. ამ დროს იგი მოძრაობდა თავისი „ფოლკსვაგენ-პოლოს“ მარკის ა/მანქანით ქ. თბილისში, სადაც გააჩერეს ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რა დროსაც მან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს წარუდგინა თავის სახელზე გაცემული მართვის მოწმობა, რომელმაც გამოიწვია ეჭვი, რომ იყო ყალბი. გ. მ-მე გადაიყვანეს ნარკოლოგიურ ცენტრში, სადაც მას, ექსპერტიზის #3414893 დასკვნის თანახმად, დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „ოპიუმის“ ჯგუფის მიღების ფაქტი. ასევე, საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, გ. მ-მის სახელზე 2001 წლის 19 სექტემბრის თარიღით გაცემული და 2008 წლის 30 აგვისტოს გამოყენებული მძღოლის მოწმობის წინა მხარე დამზადებულია არა სტამბური წესით, არამედ კუსტარულად, ფერადი სამრავლებელი აპარატის გამოყენებით, ხოლო უკანა მხარე შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით, გ. მ-მის დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის დროის დაზუსტების თვალსაზრისით, შევიდა ცვლილება, კერძოდ:

გ. მ-მეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 19 მარტიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა 2008 წლის 18 მარტიდან 2008 წლის 19 მარტამდე პატიმრობაში ყოფნის პერიოდი. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებული გ. მ-მე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, მას არ ჩაუდგინა საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. გამოკვლევულ მტკიცებულებებს მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გ. მ-მე უსაფუძვლოდ არის მსჯავრდებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, რადგან ასეთი დასკვნისთვის საქმის მასალებში საფუძველი არ მოიპოვება, კერძოდ:

როგორც წინასწარი გამოძიებისას, ასევე 1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას გ. მ-მემ თავი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ ბრალდების ოთხივე ეპიზოდი მის მიერ იყო ჩადენილი.

გარდა სამართალწარმოების სტადიებზე მის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენებებისა, მსჯავრდებულ გ. მ-მის მიერ მასზე შერაცხული დანაშაულების ჩადენა უდავოდ დასტურდება საქმეზე შეკრებილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებებით: დაზარალებულ ხ. ბ-ს ჩვენებით, მოწმეების -დ. მ-ს, ხ. გ-ს ჩვენებებით, დაკავების, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით, ნარკოლოგიური შემოწმების დასკვნებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მსჯავრდებულის ქმედებას და სასჯელის ზომაც სამართლიანად განუსაზღვრა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე, ასევე, ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელზე), მსჯავრდებულ გ. მ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2008 წლის 31 აგვისტოს ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა უნდა გაუნახევრდეს. მას სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით (2008 წლის 17 მარტის ეპიზოდი), 273-ე მუხლით (2008 წლის 31 აგვისტოს ეპიზოდი), 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, დანაშაულთა ერთობლიობით, უნდა მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1500 ლარი, რასაც უნდა დაემატოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 სექტემბრის განაჩენით განსაზღვრული „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ამნისტირებული და განახევრებული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ გ. მ-მეს მოსახდელად უნდა განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1500 ლარის ოდენობით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ასევე ამავე კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნულ სასჯელზე), მსჯავრდებულ გ. მ-მეს (2008 წლის 31 აგვისტოს ეპიზოდი) დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა -გაუნახევრდეს.

მსჯავრდებულ გ. მ-მეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით (2008 წლის 17 მარტის ეპიზოდი), 273-ე მუხლით (2008 წლის 31 აგვისტოს ეპიზოდი), 362-ე მუხლის პირველი ნაწილით, დანაშაულთა ერთობლიობით, მიესაჯოს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1500 ლარი, რასაც დაემატოს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 5 სექტემბრის განაჩენით განსაზღვრული, „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის საფუძველზე ამნისტირებული და განახევრებული სასჯელი -6

თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ გ. მ-ძეს მოსახდელად განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -1500 ლარი.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ამნისტია

### განჩინება

#13-აპ-10

18 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ლ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 სექტემბრის განაჩენით მ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით 9 წლით, ხოლო 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით მას დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მ. ლ-ძეს სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა -3000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე გაუქმდა 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხედილი ნაწილი -3 თვე და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით მ. ლ-ძეს სასჯელად განესაზღვრა 10 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე შეეფარდა ჯარიმა -3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მ. ლ-ძეს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელი-სუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 25 მაისიდან.

განაჩენით მ. ლ-ძეს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ კოდექსის 33-ე თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული; ასევე -პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით მ. ლ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით შეეცვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა -2000 ლარი.

მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა ერთ ცალ კონვალუტაში მოთავსებული, 7 ცალი „სუბოტექსის“ აბი, რომლებიც შეიცავს დიდი ოდენობით -0,056 გრამ ნარკოტიკულ საშუა-

ლება „ბუპრენორფინს“ და უკანონოდ ინახავდა, რაც მისგან ამოღებულ იქნა 2009 წლის 25 მაისს, მისი დაკავებისთანავე ჩატარებული პირადი ჩხრეკისას.

მ. ლ-მემ, მას შემდეგ, რაც იგი 2008 წლის 17 ოქტომბერს გაასამართლა ბათუმის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით, კვლავ უკანონოდ, ექიმის დანიშნულების გარეშე, მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება, რაც დაუდგინდა 2009 წლის 25 მაისს აჭარის საექსპერტო კრიმინალისტიკურ სამსახურში შემოწმების შედეგად.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 სექტემბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა მ. ლ-მემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჩ-შვილმა, რომლებმაც ითხოვეს მ. ლ-მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, ან აღნიშნულის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში - შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება. მოთხოვნას ასაბუთებდნენ იმ მოტივებით, რომ მ. ლ-მე წარდგენილ ბრალდებაში თავს არ ცნობს დამნაშავედ. ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერება მას არ ეკუთვნის და არ იცის, თუ საიდან გაჩნდა მის ჯიბეში. არასწორია მის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება და ის არ უნდა იქნეს გამოყენებული მტკიცებულებად. განაჩენი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან.

სააპელაციო პალატის სხდომაზე აპელანტებმა - მსჯავრდებულმა მ. ლ-მემ და ადვოკატმა დ. ჩ-შვილმა დააჩუხტეს სააპელაციო საჩივარი და ითხოვეს მ. ლ-მის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 სექტემბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

მ. ლ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით - 8 წლით, ხოლო 273-ე მუხლით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის გამოყენებით მას დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მ. ლ-მეს სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 3000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე გაუქმდა 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის II ნაწილის საფუძველზე ამ განაჩენით დანიშნულ სასჯელს მთლიანად დაემატა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხედილი ნაწილი - 3 თვე და საბოლოოდ განაჩენთა ერთობლიობით მ. ლ-მეს სასჯელად განესაზღვრა 9 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე შეეფარდა ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა მ. ლ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება სასჯელის სიმკაცრის გამო და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში მისი ხელახალი განხილვის მიზნით, რასაც ასაბუთებს იმ მოტივით, რომ ამჟამად აქვს შესაძლებლობა, გადაიხადოს საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული თანხა, რომლის უქონლობის გამოც ვერ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას უსაფუძვლოების გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულ მ. ლ-მის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე - დამამძიმებელი გარემოებები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ მ. ლ-მის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების - თ. ბ-მის, ი. ბ-მის ჩვენებებით, პირადი ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის #ქ/127 დასკვნით, ნარკოლოგიური გამოკვლევის #3421853 დასკვნით, ნივთმტკიცებად

ცნობის შესახებ დადგენილებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენითა და საქმის სხვა მასალებით მ. ლ-მის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ მ. ლ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას მეტისმეტი სიმკაცრის გამო უკანონო განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების შესახებ, უსაფუძვლობის გამო:

საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლით, მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, პალატა თვლის, რომ მ. ლ-ის დანიშნული სასჯელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უსამართლოდ. იგი სავსებით უზრუნველყოფს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.

აღნიშულიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ლ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა -უნდა გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ლ-მეს „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე ასევე უნდა გაუნახევრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით შეფარდებული და ამნისტიის საფუძველზე განახევრებული სასჯელი -3 თვე და მოსახდელად განესაზღვროს 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ლ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 67-ე მუხლის V და 59-ე მუხლის II ნაწილების გამოყენებით, საბოლოო სასჯელად უნდა განესაზღვროს 8 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტებით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ მ. ლ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 19 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ლ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა -გაუნახევრდეს და მოსახდელად განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ლ-მეს „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის II, III პუნქტების საფუძველზე ასევე გაუნახევრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 17 ოქტომბრის განაჩენით შეფარდებული და ამნისტიის საფუძველზე განახევრებული სასჯელი -3 თვე და მოსახდელად განესაზღვროს 1 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ლ-მეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით, 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით, იმავე კოდექსის 67-ე მუხლის V და 59-ე მუხლის II ნაწილების გამოყენებით, საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 8 წლით, 7 თვითა და 15 დღით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ამნისტია

### განჩინება

#889-აპ-09

20 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ძის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. ი-ძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 3 ივნისის განაჩენით გ. მ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექმნა და შენახვა, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-ძემ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, უკანონოდ შეიძინა და შეინახა ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“. 2008 წლის 6 დეკემბერს, გორში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მას ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა, რა დროსაც ქურთუკის ჯიბიდან ამოუღეს უკანონოდ შექმნილი და შენახული, ე.წ. „სკოჩში“ გადახვეული ნარკოტიკული ნივთიერება, რომელიც 11,65 გრამი მშრალი „მარიხუანა“ აღმოჩნდა.

აღნიშნული ქმედებისათვის გ. მ-ძეს მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 6 დეკემბრიდან; მასვე 5 წლით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული უფლებები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ი. ი-ძემ და მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი -ადვოკატი ი. ი-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი ემყარება კანონით დადგენილი წესის უხეში დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს; საქმეშია გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული პირადი ჩხრეკის ოქმი, რომელიც შედგენილია საპროცესო ნორმათა არსებითი დარღვევებით და რომელიც დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იყოს ცნობილი; დაცვას გაუჩნდა ეჭვი, რომ დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობისას შემთხვევაში პირადი ჩხრეკის ჩატარების შესახებ შედგენილია მოგვიანებით. საყურადღებოა ისიც, რომ გ. მ-ძე ჯერ გაჩხრეკეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, ხოლო შემდეგ დააკავეს, არადა პირიქით უნდა მომხდარიყო; მას ჩხრეკის დაწყებამდე მისცეს დამსწრეთა მოწვევის უფლება, რაც თავისთავად გამორიცხავს აღნიშნული საგამომძიებო მოქმედების ჩატარების გადაუდებელ აუცილებლობას. თავად პოლიციელები არიან დადგენილი სცენარის ავტორები და შემსრულებლები, რათა წარსულში ნასამართლეთა გ. მ-ძე დაეკავებინათ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი ითხოვს განაჩენის გაუქმებას და გ. მ-ძის მიმართ საქმის შეწყვეტას, სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოტივს მტკიცებულებათა მოპოვებისას საპროცესო კოდექსის მოთხოვნების დარღვევის შესახებ, კერძოდ:

გ. მ-ძის პირადი ჩხრეკა ჩატარდა გადაუდებელ შემთხვევაში, რის შესახებ გამოტანილია დადგენილება. სსსკ-ის 290-ე მუხლის მე-4 ნაწილით: გადაუდებელია შემთხვევა, როდესაც არსებობს დანაშაულის კვალის და ნივთიერი მტკიცებულების მოსპობისა და დაკარგვის რეალური საშიშროება, ან პირს დანაშაულის ფაქტზე წაასწრებენ. ამავე კოდექსის 325-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირადი ჩხრეკა ტარდება, თუ საკმარისი საფუძველი არსებობს ვარაუდისათვის, რომ ჩხრეკის ჩატარების ადგილას მყოფი პირი მალავს ამოსაღებ საგანს.

მსჯავრდებული არ უარყოფს, რომ წარუდგინეს ჩხრეკის ოქმი და მისი ასლის ჩაბარება შესთავაზეს, მაგრამ ოქმს ხელი არ მოაწერა და ასლიც არ მიიღო, რადგან ნარკოტიკი არ ჰქონია. ამასთან, გ. მ-მე თავის უდანაშაულობას უმტკიცებდა იმ პოლიციელებს, რომლებმაც, მისივე თქმით, ნარკოტიკი "ჩაუდეს". საქმის წინასწარი გამოძიებისას გ. მ-მესა და მის დამცველს არ განუცხადებიათ პოლიციელთა უკანონო ქმედებების თაობაზე, უფრო მეტიც, მსჯავრდებულმა სასამართლოში კითხვა არ დაუსვა იმ პოლიციელს, რომელმაც თითქოსდა ნარკოტიკი "ჩაუდო".

საკასაციო პალატა იზიარებს პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოების დასკვნას, რომ გ. მ-მის ჩვენება მოგონილია და მისი ბრალეულობა უტყუარადაა დადასტურებული.

გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია. იგი უნდა შეიცვალოს მხოლოდ "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახვერდეს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. მ-მის ადვოკატ ი. ი-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: "ამნისტიის შესახებ" საქართველოს 2009 წლის 20 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გ. მ-მეს გაუნახვერდეს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ამნისტია**

#### **განჩინება**

#11-აპ

2 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ბ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 სექტემბრის განაჩენით მ. ბ-მე, ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, მთლიანად დაემატა მოცემული განაჩენით დადგენილ სასჯელს. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მ. ბ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2009 წლის 27 მარტიდან.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის,

სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი -მ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რომელიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოში, უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს; მ. ბ-ის პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით -0,20406 გრამი, რომელიც ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, უნდა განადგურდეს კანონით გათვალისწინებული წესით.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ მ. ბ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენით მ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გაუნახევრდა და საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალია პირობით, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაენიშნა 1 წელი.

მიუხედავად აღნიშნულისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური სახის დანაშაული.

2009 წლის 27 მარტს, 18 საათსა და 30 წუთზე, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ქალაქ სამტრედიიაში, გზაგამტარი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბათუმიდან ქუთაისის მიმართულებით მოძრავი „ფორდ-ტრანზიტის“ მოდელის სამგზავრო მიკროავტობუსიდან ჩამოსვლისთანავე დააკავეს მ. ბ-ე, რომელიც გადაიყვანეს საქართველოს შს სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასავლეთ საქართველოს რეგიონულ სამსახურში და გამოკვლევის #3431638 დასკვნით დაუდგინდა „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკის მიღების ფაქტი.

მ. ბ-მ დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისაგან უკანონოდ შეიძინა, შეინახა და გადაზიდა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით -0,20406 გრამი.

2009 წლის 27 მარტს, 18 საათსა და 30 წუთზე, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა ქ. სამტრედიიაში, გზაგამტარი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბათუმიდან ქუთაისის მიმართულებით მოძრავი „ფორდ-ტრანზიტის“ მოდელის სამგზავრო მიკროავტობუსიდან ჩამოსვლისთანავე დააკავეს მ. ბ-ე, რომელსაც გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, მოსამართლის ბრძანების გარეშე, ჩაუტარდა პირადი ჩხრეკა.

მ. ბ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ქ. სამტრედიიაში, დაკავების ადგილზე, ამოღებულ იქნა საქართველოს მოქალაქის პასპორტი და ვინაიდან მისი ჩხრეკა დაკავშირებული იყო გაშიშვლებასთან, იგი გადაიყვანეს საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოში, სადაც გაშიშვლების შემდეგ, ქვედა საცვლიდან ამოღებულ იქნა შავი ფერის საიზოლაციო ლენტით გადახვეული, პოლიეთილენის პარკში დაფასოებული, მორუხო ფერის ნივთიერება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის #72/სქ დასკვნით წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ჰეროინს“, წონით -0,20406 გრამს.

აღნიშნულ განაჩენში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

მ. ბ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 273-ე მუხლით -1 წლით თავისუფლების აღკვეთა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი და დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის შესაბამისად, მთლიანად დაემატა მოცემული განაჩენით დადგენილ სასჯელს. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მ. ბ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 10 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში, საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.



საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი -მ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული საქართველოს მოქალაქის პასპორტი, რომელიც ინახება შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოში, უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს; მ. ბ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ნარკოტიკული საშუალება „ჰეროინი“, წონით -0,20406 გრამი, რომელიც ინახება შსს სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტში, უნდა განადგურდეს კანონით გათვალისწინებული წესით.

მსჯავრდებული მ. ბ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას. ამასთან, კასატორი განმარტავს, რომ მას არ ჩაუდენია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული; ნარკოტიკი ჩაუდეს დაკავებისას, მაგრამ, ვინაიდან ვერ დაამტკიცებდა თავის უდანაშაულობას, აღიარა დანაშაული; ამასთან პროკურატურა დაპირდა საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად, ობიექტურად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში მოიპოვება უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რითაც დასტურდება მ. ბ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულების ჩადენა.

განაჩენით მსჯავრდებულ მ. ბ-ს მიმართ შერაცხული ბრალდება დადასტურებულია მისივე აღიარებითი ჩვენებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ექსპერტის დასკვნით, 2009 წლის 27 მარტის #3431638 დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

განაჩენის დადგენის დროს სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი და დაუნიშნა სამართლიანი სასჯელი.

ვინაიდან საკასაციო პალატა იხილავს მსჯავრდებულ მ. ბ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმეს, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით და მსჯელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენის კანონიერებაზე, რა დროსაც, 2009 წლის 20 ნოემბერს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“ და აღნიშნული კანონი შეეხო მ. ბ-ს მიმართ წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ბ-ს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა -უნდა გაუნახევრდეს და მიესაჯოს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ბ-ს ახალი განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა -უნდა გაუნახევრდეს და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით უნდა მიესაჯოს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს მის მიმართ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელის ზომაში. მას საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა დაეწყოს 2009 წლის 27 მარტიდან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“, „დ“ ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, „ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

„ამნისტიის შესახებ“ 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ბ-ს გაუნახევრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს

სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 15 იანვრის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

"ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ მ. ბ-ს გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელი -1 წლით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 273-ე მუხლით მიესაჯოს 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ბ-ს, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2009 წლის 27 მარტიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ამნისტია

### განჩინება

#39-აპ

2 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ვ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ა-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 13 მაისის განაჩენით თ. ვ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის თანახმად, გაუქმდა თ. ვ-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დანიშნულ სასჯელს დაემატა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის განაჩენით დანიშნული, 2008 წლის 13 დეკემბრის დადგენილებით "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის თანახმად განახევრებული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და თ. ვ-ს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2009 წლის 14 იანვრიდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ თ. ვ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის განაჩენით თ. ვ-ს ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩათვალა პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით.

2009 წლის 14 იანვარს, დაახლოებით 2 საათზე, თ. ვ-ს თავის მეუღლესთან -დ. პ-ს ერთად ძველით ახალი წლის მისალოცად მივიდა სტუმრად ქვისლთან, მ. კ-ნის საცხოვრებელ ბინაში, სადაც მათ დახვდათ მ. კ-ი და მისი მეუღლე ლ. პ-ი. მ. კ-მ მიიპატიჟა სტუმრები მისაღებ ოთახში გაშლილ სუფრასთან, სადაც ნასვამ თ. ვ-ს მ. კ-თან მოუვიდა შელაპარაკება, მათ ერთმანეთს მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა, რის გამოც თ. ვ-ს განიმსჭვალა შურისძიების გრძნობით და განიზრახა თავისი ქვისლის -მ. კ-ნის განზრახ მოკვლა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. ვ-მ რკინის ბასრი საგნის გამოყენებით მ. კ-ს მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა მარცხნივ, საფეთქლის არეში, ასევე -ნაკვეთი ჭრილობა მარცხენა იდაყვის არეში. აღნიშნული დაზიანებები, ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, მიეკუთვნება მძიმე ხარისხს, როგორც სიცოცხლისათვის საშიშვალს. მ. კ-ნი ჯანმრთელობის დაზიანების გამო, მძიმე მდგომარეობაში, სასწრაფო დახმარებამ გადაიყვანა თბილისის #1 საავადმყოფოში, სადაც ექიმების კვალიფიციური დახმარების შედეგად მოხერხდა მისი სიცოცხლის შენარჩუნება. თ. ვ-მ კი, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, ვერ

შემლო დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანა. თ. ვ-ა შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ თ. ვ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. ა-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო. არ აღმოფხვრილა მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა, რაც ექვევემ აყენებს სასამართლო დასკვნებს; სასამართლოს დასკვნა პირის დამნაშავედ ცნობის შესახებ არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, ვინაიდან თ. ვ-ს არ ჩაუდენია სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც პირველი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოებმა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები, სათანადო შეფასება მისცეს საქმეზე მოპოვებულ მტკიცებულებებს, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქმეზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისა და თ. ვ-ს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის.

მსჯავრდებულ თ. ვ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებებით: მოწმეების -ლ. პ-ს, რ. ქ-ს, მ. კ-ს, დ. პ-ს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, სასამართლო-სამედიცინო, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური, ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის.

ვინაიდან საკასაციო პალატა იხილავს მსჯავრდებულ თ. ვ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმეს, დანაშაული, გათვალისწინებული სსკ-ის 19,108-ე მუხლით და მსჯელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენის კანონიერებაზე, რა დროსაც, 2009 წლის 20 ნოემბერს, მიღებულ იქნა საქართველოს კანონი "ამნისტიის შესახებ" და აღნიშნული კანონი შეეხო თ. ვ-ს მიმართ წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ თ. ვ-ს წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით საბოლოოდ დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა -უნდა გაუნახვერდეს და, შესაბამისად, ცვლილება უნდა შევიდეს თ. ვ-ს მიმართ განაჩენთა ერთობლიობით დანიშნული საბოლოო სასჯელის ზომაში. მას საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა უნდა დაეწყოს 2009 წლის 14 იანვრიდან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა", "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით, "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებულ თ. ვ-ს გაუნახვერდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 მაისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით საბოლოოდ დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა და მიესაჯოს 3 თვით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ თ. ვ-ს, განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 9 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყოს 2009 წლის 14 იანვრიდან.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ამნისტია**

**განჩინება**

#759-აპ-09

8 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**ი. ტყემელაშვილი**

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. ა-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აგვისტოს განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საბრალდებო დასკვნით, ბ. ც-ს, (რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის განაჩენით ბ. ც-ი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით), ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენით მსჯავრდებულ ბ. ც-ს ქმედება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის პირველ ნაწილზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. იმავე განაჩენით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 ივლისის განაჩენით ბ. ც-ს მიმართ დანიშნული პირობითი მსჯავრი და სასჯელის მოუხდელი ნაწილი -თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით -რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 12 თებერვლის დადგენილებით განახვერდა და მას საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, შეიკრიბა ზემოაღნიშნული განაჩენით დანიშნული სასჯელთან, რის შედეგადაც ბ. ც-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მსჯავრდებულ ბ. ც-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან -2008 წლის 3 აგვისტოდან.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ბ. ც-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 3 ივლისს ბ. ც-ი გაასამართლა რუსთავის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე აღნიშნული სასჯელი მას ჩაეთვალა, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი.

მიუხედავად ამისა, ბ. ც-ი არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოსაცდელი ვადის განმავლობაში კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, კერძოდ: 2008 წლის 2 აგვისტოს, დაახლოებით 22.00 საათზე, ბ. ც-ი ძიებით დაუდგენელ რამდენიმე პირთან ერთად იმყოფებოდა ქ. რუსთავში, საკოლმეურნეო ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, #... კორპუსთან. აქ იგი შეხვდა ქ. რუსთავში, ... ქუჩის #-ში მცხოვრებ ა. ს-ს, რომელსაც გასეირნების მიზნით მოსთხოვა მ. რ-სა-

გან ნათხოვარი ველოსიპედი. უარის მიღების შემდეგ ბ. ც-მა ჯიბიდან ამოიღო დანა, რომლის დემონსტრირებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით ა. ს-ს წაართვა 200 ლარად ღირებული ველოსიპედი და, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა რა მას, მ. რ-ს მიაყენა 200 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმდებელმა და მსჯავრდებულ ბ. ც-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა იმ მიმართებით, რომ ბ. ც-ს დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდეს საბრალდებო დასკვნით წარდგენილი ბრალდების შესაბამისად, ე.ი. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც მას სასჯელად უნდა შეეფარდოს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, განაჩენთა ერთობლიობით კი განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით. პროკურორი მიიჩნევდა: რომ განაჩენით არასწორი შეფასება მიეცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებითაც დასტურდება, რომ ბ. ც-მა მოცემული დანაშაული ჩაიდინა შემთხვევის ადგილზე მასთან ერთად მყოფ სხვა პირებთან ერთად; რომ ძიებით დაუდგენელი სხვა პირებიც მონაწილეობდნენ დაზარალებული ა. ს-სგან ველოსიპედის წართმევაში. ის გარემოება კი, რომ დანით ა. ს-ს ემუქრებოდა მხოლოდ ბ. ც-ი, ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენის თვალსაზრისით, საქმის ვითარებას არ ცვლის.

მსჯავრდებულმა ბ. ც-მა და მისმა დამცველმა სააპელაციო საჩივრით მოითხოვეს დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლა იმგვარად, რომ ბ. ც-ს დანაშაულებრივი ქმედება განაჩენით დადგენილი საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველ ნაწილზე და, შესაბამისად, დაედოს მსჯავრი. დაცვის მხარე სააპელაციო საჩივარში ავითარებდა მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში ბ. ც-ი დაზარალებულს დანით არ დამუქრებია. მან თხოვების მოტივით, მხოლოდ გასეირნების მიზნით, გასტაცა დაზარალებულს ველოსიპედი, რასაც ცხადყოფს თუნდაც ის გარემოება, რომ ა. ს-ი 15-20 წუთის განმავლობაში ელოდა მას ველოსიპედის დასაბრუნებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მართლაც ყაჩაღური თავდასხმა რომ მომხდარიყო, ა. ს-ი მაშინვე მიიღებდა ზომებს თავის დასაცავად და ველოსიპედის დასაბრუნებლად, რაც მას არ გაუკეთებია.

საქმის სააპელაციო წესით განხილვის დროს სახელმწიფო ბრალმდებელმა მხარი დაუჭირა პროკურორის სააპელაციო საჩივარს და მოითხოვა მისი დაკმაყოფილება.

მსჯავრდებულმა ბ. ც-მა და მისმა დამცველმა დააზუსტეს თავიანთი სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, მათ მოითხოვეს გამამტყუნებელი განაჩენის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა იმ მოტივით, რომ მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა არც მარცვა და არც ყაჩაღობა. ბ. ც-მა დაზარალებულ ა. ს-ს გასეირნების მიზნით სთხოვა ველოსიპედი და დაუბრუნებდა კიდეც, პოლიციის თანამშრომლების მიერ რომ არ ყოფილიყო ამოღებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აგვისტოს განაჩენით წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, ხოლო რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ ბ. ც-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

კასატორი -რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი დ. ა-ი წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით ითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და ბ. ც-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის დაბრუნებას ხელახალი განხილვის მიზნით სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში იმავე მოტივებით, რაც ბრალდების მხარეს მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი არ გამომდინარეობს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან, ხოლო პროკურორის საკასაციო საჩივრის მოტივაცია იმის შესახებ, რომ ბ. ც-ის დანაშაულებრივი ქმედება მოიცავს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დისპოზიციას, საქმის მასალების შესწავლის შედეგად არ დასტურდება, ვინაიდან საქმეში არ მოიპოვება რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რომ ყაჩაღობის დროს დაზარალებულის მიმართ ჯგუფურ თავდასხმა მოხდა სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით და რომ შემთხვევის ადგილზე მყოფი პირები შეთანხმებულები იყვნენ მოცემული დანაშაულის ჩასადენად. ამასთან, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: ბინის ჩხრევისა და ამოღების ოქმებით, დაზარალებულის მიერ ველოსიპედისა და პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით, და-

ზარალბულების: ა. ს-სა და მ. რ-ს, მოწმეების: ვ. ს-სა და ხ. ბ-ის ჩვენებით, ასევე, საქმეში არსებული სხვა მასალებით მსჯავრდებულ ბ. ც-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

გარდა ზემოაღნიშნულისა, პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში მიიღო ბ. ც-ის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი, ასევე დამამძიმებელი გარემოებები და, ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით, მას განუსაზღვრა სასჯელის კანონიერი და სამართლიანი ღონისძიება.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტის საფუძველზე, ასევე ამავე კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება), მსჯავრდებულ ბ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა -უნდა გაუნახვერდეს და მას სასჯელის ზომად ამ ნაწილში განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით, რის გამოც ბ. ც-ს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. ა-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 27 აგვისტოს განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

"ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, ასევე ამავე კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება, მსჯავრდებულ ბ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით დანიშნული სასჯელი -6 თვით თავისუფლების აღკვეთა -გაუნახვერდეს და ამ ნაწილში მას სასჯელად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით, შესაბამისად ბ. ც-ს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 9 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ამნისტია**

**განჩინება**

#987-აპ-09

9 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**

**მ. ოშხარელი,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. ბ-ს დამცველი ადვოკატების -რ. კ-სა და თ. ნ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მარტის განაჩენით თ. ბ-ა მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 273-ე მუხლის საფუძველზე, რის გამოც სასჯელის ზომად განესაზღვრა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რომელიც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გაუნახვერდა და ბრალდების ამ ეპიზოდში სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნული სასჯელები შეიკრიბა და მსჯავრდებულ თ. ბ-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დამატებითი სასჯელის სახით 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები. ამასთან, აღნიშნული განაჩენით საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით თ. ბ-ათვის დანიშნული პირობითი მსჯავრი -1 წლის ვადით და იმავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე დანიშნულ სასჯელს დაემატა აღნიშნული განაჩენით დანიშნული და „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განახვერებული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, რის შედეგადაც მსჯავრდებულ თ. ბ-ას განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით 3 წლის ვადით ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში მითითებული უფლებები. მსჯავრდებულ თ. ბ-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან -2008 წლის 26 სექტემბრიდან.

განაჩენით თ. ბ-ს ბრალი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ყაჩაღობა, ე.ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ჯგუფურად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით. მანვე ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნა-სამართლევი პირის მიერ.

აღნიშნული გამოიხატა შემდეგში:

2007 წლის 18 ოქტომბერს თ. ბ-ა გაასამართლა გორის რაიონულმა სასამართლომ, იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც, საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, ხოლო გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი, ამასთან, საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების შესაბამისად, თ. ბ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა -3000 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მიუხედავად ამისა, თ. ბ-ა არ დაადგა გამოსწორების გზას და პირობითი მსჯავრის პერიოდში კვლავ ჩაიდინა განზრახი დანაშაული, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 20 სექტემბერს, დაახლოებით 23.40 საათზე, ნარკოტიკული თრობის ქვეშ მყოფი თ. ბ-ა დანაშაულებრივად დაუკავშირდა გამოძიებით დაუდგენელ პირს და ორივემ ერთად განიზრახა, ჩაედინა ყაჩაღობა. თავიანთი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით თ. ბ-ა შეიარაღდა გადაჭრილი თოფით, რის შემდეგაც ისინი მივიდნენ თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურთან, შპს "...-თან." დარწმუნებულები იმაში, რომ ვერავინ შენიშნავდა, გამოძიებით დაუდგენელი პირი დარჩა გარეთ, მეთვალყურედ, ხოლო თ. ბ-მ იმის შიშით, რომ არ ეცნოთ, სახე შეინიღბა სამკუთხედად გადაკეცილი ცხვირსახოცით და შევიდა ბენზინგასამართი სადგურის საოპერატორო ოთახში, სადაც იმყოფებოდნენ ოპერატორი ს. ვ-ი და საწვავის ჩამსხმელი ი. მ-ი. თ. ბ-მ გადაჭრილი თოფის გამოყენებით, ი. მ-სა და ს. ვ-ს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მოსთხოვა ფული, რაზეც მათ განუცხადეს, რომ ფული წადებული ჰქონდა ბენზინგასამართი სადგურის მეპატრონე ლ. ბ-ს. ს. ვ-მა დასარწმუნებლად გამოსწია ფულის შესანახი უჯრა, რითაც ისარგებლა თ. ბ-მ, ხელი ჩაყო უჯრაში და ყაჩაღურად დაეუფლა ლ. ბ-ს კუთვნილ თანხას -117 ლარს. ი. მ-ი და ს. ვ-ი შეეცადნენ ბოროტმოქმედის დაკავებას, რა დროსაც თ. ბ-მ ხელთ არსებული გადაჭრილი თოფი ორივე მათგანს ჩაარტყა თავის არეში. ამის შემდეგ თ. ბ-ა გამოვიდა ოთახიდან, გაიქცა პირდაპირ, პოლიკლინიკის მიმარ-

თულებით და შეეცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვას. იგი შეამჩნიეს ... ქუჩაზე მოძრავმა პატრულ-ინსპექტორებმა, რომლებმაც თ. ბ-ა დააკავეს ეჭვმიტანილის სახით. დაკავებულს ეტყობოდა, რომ სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ, რის გამოც იგი გადაიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სადაც ჩაუტარდა გამოკვლევა. ნარკოლოგიური შემოწმების #3415709 დასკვნის მიხედვით დადგინდა, რომ თ. ბ-ა კლინიკურად იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრა მსჯავრდებულმა თ. ბ-მ.

აპელანტი თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მარტის განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულ ს. ვ-ს ჩვენებას, სხვა მტკიცებულება კი, რომლითაც დადასტურდებოდა თ. ბ-ს მიერ მისთვის ბრალად შერაცხული დანაშაულის ჩადენა, საქმეში არ მოიპოვება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 6 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება მსჯავრდებულ თ. ბ-ს სასიკეთოდ როგორც კვალიფიკაციის, ისე სასჯელის ნაწილში, კერძოდ: თ. ბ-ს ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, გადაკვალიფიცირდა იმავე მუხლის პირველ ნაწილზე, სასჯელის ზომად კი ბრალდების ამ ეპიზოდში შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 273-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით -დარჩა უცვლელად. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, თ. ბ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც დამატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და თ. ბ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ თ. ბ-ს დამცველმა ადვოკატებმა - რ. კ-მ და თ. ნ-მ საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორები საჩივრით ითხოვენ მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას ყაჩაღობის ბრალდებაში იმავე მოტივებით, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ თ. ბ-ს ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მან ნამდვილად ჩაიდინა თბილისში, ... ქუჩაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურთან, შპს "...-თან" ყაჩაღური თავდასხმა და ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე, უკანონოდ მოხმარება. მისი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, ნარკოლოგიური შემოწმების #3415709 დასკვნითა და სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა თ. ბ-ს მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედება და არ არსებობს საფუძველი მისი შეცვლისათვის.

ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. ბ-ს "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით -უნდა გაუნახევრდეს და ამ ნაწილში სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. ამასთან "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ასევე ამავე კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება, ასევე უნდა გაუნახევრდეს წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული და "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განახევრებული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, რის გამოც



ამ ნაწილში თ. ბ-ს სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, თ. ბ-ს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულ თ. ბ-ს სასიკეთოდ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ თ. ბ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. ბ-ს "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით -გაუნახევრდეს და ამ ნაწილში სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. ამასთან "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ასევე ამავე კანონის მეორე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული მითითების გათვალისწინებით, რომლის მიხედვით, ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება, გაუნახევრდეს წინა განაჩენით საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის საფუძველზე, დანიშნული და "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად განახევრებული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით და ამ ნაწილში თ. ბ-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 3 თვის ვადით. რის გამოც თ. ბ-ს საბოლოოდ განსაზღვრული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით -შეუმცირდეს 6 თვით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ თ. ბ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **ამნისტია**

#### **განჩინება**

#819-აპ-09

27 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),  
მ. ოშხარელი,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულების: შ. გის, ი. ა-სა და ლ. ი-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების: ე. რ-ის, ნ. ნ-სა და ლ. ა-ის, აგრეთვე, ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ტ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

საბრალდებო დასკვნით, დ. შ-ს, ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მე-ოთხე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში;

ლ. ი-ს ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, იმავე კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტ-

ბით, ასევე 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", მე-3 ნაწილის "ა", "გ" ქვეპუნქტებითა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მეოთხე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებითა და აღნიშნული კოდექსის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში;

შ. გ-ს -ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში;

ი. ა-ს -ბრალი ედებოდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 2 მარტის განაჩენით დ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2008 წლის 28 თებერვლის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით შეუმცირდა ერთი მეოთხედით და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2008 წლის 6 მაისის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და დ. შ-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლისა და 9 თვის ვადით.

იმავე განაჩენით ლ. ი-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 19,177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ა", მესამე ნაწილის "გ" ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში (2005 წლის 21 ივლისის ეპიზოდი). ლ. ი-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად გაუნაზღვრდა და ლ. ი-ს ამ ნაწილში სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2008 წლის 24 მარტის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2008 წლის 28 თებერვლის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2008 წლის 6 მაისის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და ლ. ი-ს სასჯელის საბოლოო ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლისა და 9 თვის ვადით, აგრეთვე ჯარიმა -3500 ლარის ოდენობით.

მსჯავრდებულ ლ. ი-ს "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საექიმო საქმიანობის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში -საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

იმავე განაჩენით ც. ი-ს სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლიდან, მდებარე ქ. ქუთაისში, 5000 ლარის ოდენობის წილი მიექცა სახელმწიფო საკუთრებაში.

შ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", მე-3 ნაწილის "ა" და მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტების (2008 წლის 6 მაისის ეპიზოდი) საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი -4 წლით თავისუფლების აღკვეთა და შ. გ-ს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით.

იმავე განაჩენით ი. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა -3500 ლარი.

სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა და ლ. ი-სა და ი. ა-ს ი. ა-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 6650 ლარის გადახდა.

გარდა ამისა, განაჩენით გადაწყდა შემდეგი საკითხები: საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ლ. ი-ს საცხოვრებელი სახლიდან ამოღებული ნარკოტიკული ნივთიერება "მარისუანა", წონით 14,85

გრამი, რომელიც ინახება საქართველოს შსს სოდ-ში და დ. შ-ის კუთვნილი 2 ცალი 9 მმ კალიბრის PM ტიპის ვაზნა, რომლებიც ინახება ქუთაისის საქალაქო სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

შსს "ლეონის" კუთვნილი ელექტროტექნიკის მაღაზია "სონიდან" მსჯავრდებულის მიერ ფარულად გატანილი და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული ნივთები -ციფრული ფოტოპარატი DმდL-ჭ შOI-2597076-M, ციფრული ფოტოპარატი Dმზ-შ700 შOI-4036605-A, ციფრული ფოტოპარატი Dმზ-ჭ55 შOI-2592079-K, ცირული ვიდეოკამერა Dჩდ-შდ24E შOI-3570972-ქ, ციფრული ვიდეოკამერა Dჩდ-ჩჩ28E შOI-0373142-G, ციფრული ვიდეოკამერა Dჩდ-ჩჩ38E შOI-1361677-H, პორტატული DVD პლეერი DVP-FX810 შOI-6320577-G, თხევადკრისტალური ტელევიზორი PდIMA GL 32HV36მ137მლჩ 32 HV36000135, სინთეზატორი YAMAHA შ700 NბNX 03291, ელექტროგიტარა YAMAHA Pაჩ 012QLX 103073, ელექტროგიტარა YAMAHA Pაჩ 012QLX 103017, რომლებიც შესანახად ჩაბარებული აქვს თ. ჯ-ს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დარჩეს მის საკუთრებაში;

ი. ა-ის სახლიდან მსჯავრდებულის მიერ ფარულად წაღებული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებული ნივთები -ჩინური ფაიფურის ქალის ქანდაკება, ჩინური ფაიფურის მებადური მამაკაცის ქანდაკება, ოქროსფერი რკინის ნაკეთობა ცხოველის გამოსახულებითა და სასწორით, ოქროსფერი მცირე ზომის სასანთლე დეკორატიული სახელურით, რომლებიც ჩაბარებული აქვს ი. ა-ს, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დარჩეს მის საკუთრებაში.

განაჩენით დ. შ-ეს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა "მაკაროვის" სისტემის 9 მმ კალიბრის ხუთი ვაზნა, რასაც უკანონოდ ინახავდა ქალაქ ქუთაისში მდებარე თავისი საცხოვრებელი სახლის სარდაფში.

მანვე პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ქ. ქუთაისში, ელექტროტექნიკის მაღაზია "სონის" კუთვნილ ნივთებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ლ. ი-სა და გამოძიებით დაუდგენელ სხვა პირებს. 2008 წლის 28 თებერვალს, ღამის საათებში, მორგებული გასაღების გამოყენებით მითითებულმა პირებმა ფარულად შეაღწიეს მაღაზია "სონის" შენობაში, საიდანაც გაიტაცეს ხსენებული ფირმის დიდი ოდენობის ნივთები, კერძოდ: ექვსი ცალი ციფრული ფოტოპარატი, საერთო ღირებულებით -4184 ლარი; იმავე ფირმის შვიდი ცალი ციფრული ვიდეოკამერა, საერთო ღირებულებით -6552 ლარი და 576 ლარად ღირებული პორტატული "დივიდიპლეერი", რითაც დაზარალებულს მიაყენეს 11312 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

2008 წლის მაისის დასაწყისში დ. შ-მ პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით კვლავ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ქ. ქუთაისში, მაღაზია "სონის" კუთვნილ ნივთებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ლ. ი-ს, შ. გ-სა და სხვა დაუდგენელ პირებს და 2008 წლის 6 მაისს, ღამის საათებში, შესასვლელი კარის საკეტი მექანიზმის დაზიანების გზით, უკანონოდ შეაღწიეს ხსენებულ მაღაზიაში, საიდანაც ამჯერად ფარულად გაიტაცეს: "სონის" ფირმის სამი ცალი თხევადკრისტალური ტელევიზორი, საერთო ღირებულებით -5632 ლარი; "იამაჰას" ფირმის ორი სინთეზატორი, საერთო ღირებულებით -3321 ლარი და ამავე ფირმის ორი ელექტროგიტარა, საერთო ღირებულებით -1800 ლარი, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 10753 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

ლ. ი-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა", წონით 15,1 გრამი, რასაც ასევე უკანონოდ ინახავდა ქ. ქუთაისში, საცხოვრებელ ბინაში, რაც 2008 წლის 26 ივნისს მოსამართლის ბრძანებით ჩატარებული ჩხრეკისას ამოიღეს ქუთაისის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა.

მანვე პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით განიზრახა, ფარულად დაუფლებოდა ქ. ქუთაისში, მაღაზია "სონის" კუთვნილ ნივთებს. 2008 წლის 28 თებერვალს, ღამის საათებში, მორგებული გასაღების გამოყენებით ლ. ი-მ, დ. შ-მ და გამოძიებით დაუდგენელმა სხვა პირებმა ფარულად შეაღწიეს მაღაზია "სონის" შენობაში, საიდანაც გაიტაცეს ხსენებული ფირმის დიდი ოდენობის ქონება, კერძოდ: ექვსი ცალი ციფრული ფოტოპარატი, საერთო ღირებულებით -4184 ლარი; იმავე ფირმის შვიდი ცალი ციფრული ვიდეოკამერა, საერთო ღირებულებით -6552 ლარი და 576 ლარად ღირებული პორტატული "დივიდიპლეერი", რითაც დაზარალებულს მიაყენეს 11312 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

2008 წლის მარტში ლ. ი-ემ განიზრახა, მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, პირთა ჯგუფთან ერთად წინასწარი შეთანხმებით ფარულად დაუფლებოდა მცხოვრები ი. ა-ის ბინაში არსებულ მატერიალურ ფასეულობას. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ი. ა-ს. 2008 წლის 24 მარტს, ღამის საათებში, მათ ფარულად შეაღწიეს ი. ა-ის ბინაში და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლნენ: 300 ლა-

რად ღირებულ "ბეკოს" ფირმის ტელევიზორს; 250 ლარად ღირებულ სატელიტურ ანტენას - ე.წ. "რესივერს"; 150 ლარად ღირებულ "შოკის" ფირმის ვერცხლისფერ ე.წ. "დივიდიპლერს"; 300 ლარად ღირებულ "სონის" ფირმის პორტატულ "დივიდიპლერს"; 500 ლარად ღირებულ "სონის" ფირმის ციფრულ ვიდეოგადამღებს; ხუთ ცალ ფაიფურის ქანდაკებას, თითოეულს - ღირებულს 500 ლარად; 150 ლარად ღირებულ "მელსონის" სასანთლეს; 500 ლარად ღირებულ ვერცხლის ლანგარსა და 2000 ლარად ღირებულ, 1802 წელს დამზადებულ, შამპანურის ბოთლის ვერცხლის ჩასადებს, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 6650 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2008 წლის მაისში ლ. ი-მ პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით კვლავ განიზარაზა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ქ. ქუთაისში, მაღაზია "სონის" კუთვნილ ნივთებს. განზარაზვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა დ. შ-ს, შ. გ-სა და სხვა დაუდგენელ პირებს, რომლებმაც და 2008 წლის 6 მაისს, ღამის საათებში, შესასვლელი კარის საკეტი მექანიზმის დაზიანების გზით, უკანონოდ შეაღწიეს ხსენებულ მაღაზიაში, საიდანაც ფარულად გაიტაცეს "სონის" ფირმის სამი ცალი თხევადკრისტალური ტელევიზორი, საერთო ღირებულებით - 5632 ლარი; "იამაჰას" ფირმის ორი სინთეზატორი, საერთო ღირებულებით - 3321 ლარი და ამავე ფირმის ორი ელექტროგიტარა, საერთო ღირებულებით - 1800 ლარი, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 10753 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

განაჩენით შ. გ-ს მსჯავრი დაედო შემდეგისათვის: 2007 წლის 16 მარტს შ. გ-ე გაასამართლა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 353-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რის გამოც მას სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე, 64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით - 5 წლის გამოსაცდელი ვადით, ხოლო დამატებით სასჯელად დაეკისრა ჯარიმა - 5000 ლარის ოდენობით. მიუხედავად ამისა, შ. გ-ე არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ახალი განზარაზვი დანაშაული, კერძოდ: 2008 წლის მაისში შ. გ-მ პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით განიზარაზა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ქ. ქუთაისში, მაღაზია "სონის" კუთვნილ მოძრავ ნივთებს. განზარაზვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა დ. შ-ს, ლ. ი-სა და სხვა დაუდგენელ პირებს. 2008 წლის 6 მაისს, ღამის საათებში, შესასვლელი კარის საკეტი მექანიზმის დაზიანების გზით, მათ უკანონოდ შეაღწიეს ხსენებულ მაღაზიაში, საიდანაც ფარულად გაიტაცეს ზემოაღნიშნული მოძრავი ნივთები, რომელთა საერთო ღირებულების გათვალისწინებით, მათ დაზარალებულს მიაყენეს 10753 ლარის დიდი ოდენობით ზიანი.

ი. ა-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან 2008 წლის მარტში განიზარაზა, პირთა ჯგუფთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლებოდა ქალაქ ქუთაისში მცხოვრებ ი. ა-ს ბინაში არსებულ მატერიალურ ფასეულობას. განზარაზვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ლ. ი-ეს. 2008 წლის 24 მარტს, ღამის საათებში, მათ ფარულად შეაღწიეს ი. ა-ს ბინაში და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაუფლნენ ამ უკანასკნელის კუთვნილ, ზემოაღნიშნულ მოძრავ ნივთებს, რის შედეგადაც დაზარალებულს სულ მიაყენეს 6650 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

აპელანტი - მსჯავრდებული შ. გ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანასა და მის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

აპელანტი - მსჯავრდებულ დ. შ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი გ. დ-ი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა დ. შ-მის გამართლებას 2008 წლის 6 მაისის ეპიზოდში იმ მოტივით, რომ აღნიშნულის დასადასტურებლად ვერანაირი პირდაპირი მტკიცებულება ვერც წინასწარი გამოძიებისას და ვერც სასამართლო განხილვის დროს მოპოვებული ვერ იქნა. ამასთან, იგი ითხოვდა 2008 წლის 28 თებერვლის ეპიზოდში საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე შერაცხული ბრალდების ამორიცხვას, დ. შ-ს ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", ასევე ამავე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით და მის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას იმ მოტივით, რომ დ. შ-ე დანაშაულის ჩადენისას იყო არასრულწლოვანი, წარსულში არ არის ნასამართლევი, ხასიათდება დადებითად და არასოდეს ყოფილა შემჩნეული რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში.

აპელანტი - მსჯავრდებულ ი. ა-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ნ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად აღნიშნული მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ საქმეში არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დანაშაულებრივ ქმედებაში მონაწილეობა. სასამართლომ არ გაითვალისწინა არსებითი

მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი და ეჭვი არ განმარტა განსასჯელის სასარგებლოდ. გარდა ამისა, აპელანტის განმარტებით, თ. გ-ს ბინაში ჩატარებული ჩხრეკა და აღნიშნული ბინიდან ამოღებული ნივთების ამოცნობა ჩატარდა საქართველოს სსკ-ის 317-ე, 318-ე, 348-ე და 349-ე მუხლების მოთხოვნათა უხეში დარღვევით.

აპელანტი -მსჯავრდებულ ლ. ი-ის ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ა-ი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ლ. ი-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტებით (2008 წლის 28 თებერვლის ეპიზოდში) წარდგენილ ბრალდებაში, ასევე ითხოვდა ც. ი-ს ქონებაზე მიღებული გადაწყვეტილების გაუქმებას ქონების ჩამორთმევის ნაწილში, შემდეგი მოტივებით: სასამართლო გამოძიების დროს ლ. ი-მ თავი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით, სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით (2008 წლის 6 მაისის ეპიზოდში), სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტებით (2008 წლის მარტის თვის ეპიზოდში) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. რაც შეეხება 2008 წლის 28 თებერვლის ეპიზოდს "სონის" მალაჩიის კუთვნილი მოძრავი ნივთების ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით, ლ. ი-მ სასამართლოს განუმარტა, რომ იგი იმყოფებოდა თავის საცხოვრებელ სახლში, ვინაიდან ჰქონდა დაბადების დღე -იგი დაბადებულია 28 თებერვალს, მას ამავე დროს ფეხი ჰქონდა დაზიანებული და არ შეეძლო გადაადგილება ძლიერი ტკივილების გამო. მას გამოძახებული ჰყავდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება და შეუძლია აღნიშნული ფაქტის დადასტურება. რაც შეეხება მისი ბების საცხოვრებელი სახლიდან ამოღებულ ნივთებს, ამის თაობაზე არაფერი იცის. 2008 წლის 28 თებერვლის ეპიზოდთან დაკავშირებით, გარდა იმისა, რომ მისი ბების წლებს წინ მიტოვებული სახლიდან ამოღებულ იქნა "სონის" მალაჩიიდან მოპარული ნივთები, სხვა რაიმე დამადასტურებელი მტკიცებულება არ მოიპოვება. აპელანტის განმარტებით, განაჩენი გასაუქმებელია ც. ი-ს საკუთრებაში რიცხული სახლის 5000 ლარის ოდენობის წილის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის ნაწილშიც. ლ. ი-ს აღკვეთის ღონისძიების -გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, ქობულეთის რაიონული სასამართლოს ბრძანებით ყადაღა დაედო მისი დედის საცხოვრებელ სახლს, მაგრამ ლ. ი-ე 2009 წლის 2 მარტის განაჩენით 2005 წლის 22 ივლისის ეპიზოდში ჩადენილი დანაშაულისათვის, რისთვისაც შეეფარდა გირაო, გამართლდა და ასეთ შემთხვევაში უკანონოა გირაოს სახით ჩადებული მისი დედის ქონების 5000 ლარის ოდენობის წილის უსასყიდლოდ ჩამორთმევა. აპელანტის აზრით, განაჩენი არის დაუსაბუთებელი, კერძოდ, არ აღმოფხვრილა მტკიცებულებათა შორის წინააღმდეგობანი, სასამართლოს არ გაუთვალისწინებია საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, წინააღმდეგობრივ მტკიცებულებათა არსებობისას სასამართლომ დაუსაბუთებლად უარყო ერთი და მიიღო მეორე მტკიცებულება, ხოლო სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

აპელანტი -სახელმწიფო ბრალმდებელი დ. ფ-ე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ, ლ. ი-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლისა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", იმავე მუხლის მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე და ამ ნაწილში, საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის თანახმად, მისთვის სასჯელის ზომად 3 წლითა და 9 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას (2005 წლის 22 ივლისის ეპიზოდი), ხოლო საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მის მიმართ სასჯელის საბოლოო ზომად 24 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთის დანიშნას, რასაც ასაბუთებდა შემდეგი მოტივით: დაზარალებულმა თ. გ-მ სასამართლო გამოძიებისას მიცემულ ჩვენებაში აღნიშნა, რომ ქურდობის მცდელობისას შენიშნა პიროვნება, რომელიც პოლიციელებმა დააკავეს მისივე მითითებით და რომელიც შემდგომ აღმოჩნდა ლ. ი-ე. აპელანტის განმარტებით, სასამართლომ ეს ჩვენება არ გაიზიარა და ლ. ი-ე უსაფუძვლოდ გაამართლა აღნიშნულ ეპიზოდში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 2 მარტის განაჩენში შევიდა ცვლილება -განაჩენი დაზუსტდა ლ. ი-ს სასჯელისა და აღკვეთის ღონისძიების გაუქმების ნაწილში, კერძოდ, ლ. ი-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რაც "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, გაუნახვერდა და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", მე-3 ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2008 წლის 24 მარტის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 5 წლისა და 3 თვის ვადით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2008 წლის 28 თებერვლის ეპიზოდი) -თავისუფ-

ლების აღკვეთა 7 წლის ვადით; საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ", ამავე მუხლის მე-3 ნაწილის "ა" და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტების საფუძველზე (2008 წლის 6 მაისის ეპიზოდი) -თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ლ. ი-ს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 20 წლისა და 3 თვის ვადით. ამასთან ერთად, საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე ლ. ი-ს დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნა ჯარიმა - 3500 ლარის ოდენობით.

მასვე "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მეორე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და მესამე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, 5 წლის ვადით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; საექიმო საქმიანობის უფლება; საადვოკატო საქმიანობის უფლება; პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება; სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; პასიური საარჩევნო უფლება; იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება. ლ. ი-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება - გირაო გაუქმდა და ც. ი-ს სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლიდან 5000 ლარის ოდენობის წილი მიექცა სახელმწიფო საკუთრებაში. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულების: შ. გ-ს, ი. ა-სა და ლ. ი-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა: ე. რ-მ, ნ. ნ-მ და ლ. ა-მა, აგრეთვე, ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა მ. ტ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლებითაც კასატორები ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის შეცვლას შემდეგი მიმართებით:

კასატორი - მსჯავრდებულ ი. ა-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. ნ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად აღნიშნული მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

კასატორი - მსჯავრდებულ ლ. ი-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ა-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად აღნიშნული მსჯავრდებულის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

კასატორი - მსჯავრდებულ შ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. რ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს აღნიშნული მსჯავრდებულისათვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქებას იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა სააპელაციო საჩივარში.

კასატორი - ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორი მ. ტ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნებას იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც სახელმწიფო ბრალმძებელ დ. ფ-ს ჰქონდა მითითებული სააპელაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების: შ. გ-ის, ი. ა-სა და ლ. ი-ის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების მოთხოვნათა საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების: შ. გ-სა და ლ. ი-ის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩადინეს ქ. ქუთაისში, მაღაზია "სონის" კუთვნილი ნივთების ფარულად დაუფლება. მათი ბრალეულობა დადასტურებულია დაზარალებულისა და მოწმეების ჩვენებებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებითა და სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს დასავლეთ საქართველოს რეგიონული სამსახურის ქიმიური ექსპერტიზის # 77/სქ დასკვნით დადასტურებულია ლ. ი-ის მიმართ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხული ბრალდება. საქმეში არსებული მასალებით ასევე უტყუარადაა დადასტურებული ლ. ი-სა და ი. ა-ის მიერ ქ. ქუთაისში, მცხოვრები ი. ა-ის კუთვნილი ნივთების ქურდობის ფაქტი. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა მსჯავრდებულების: შ. გ-ის, ი. ა-სა და ლ. ი-ის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება. სააპელაციო

სასამართლომ სწორად დააკვალიფიცირა მათ მიერ ჩადენილი ქმედება, რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

რაც შეეხება ლ. ი-ს გამართლებას საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და მე-3 ნაწილის "გ" ქვეპუნქტების საფუძველზე წარდგენილ ბრალდებაში (2005 წლის 21 ივლისის ეპიზოდი), პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნულ ეპიზოდში ლ. ი-ს გამართლებას საფუძველად დაედო საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებანი, რომლებსაც მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება, რის გამოც არ არსებობს საფუძველი ამ ნაწილში განაჩენის შეცვლისა და პროკურორ მ. ტ-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის.

ამავე დროს საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. ი-ს "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით -უნდა გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით. ამასთან, ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, ლ. ი-ს საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 19 წლისა და 9 თვის ვადით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ განაჩენი უნდა დაზუსტდეს შ. გ-ის სასჯელის ვადის ათვლის ნაწილში, კერძოდ, შ. გ-ეს სასჯელის მოხდის ვადაში უნდა ჩათვალოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის განაჩენში მითითებული პატიმრობაში ყოფნის დრო -2007 წლის 23 იანვრიდან 2007 წლის 16 მარტამდე.

საკასაციო პალატამ გასაჩივრებული განაჩენი სარევიზიო წესით შეამოწმა სრული მოცულობით, მათ შორის, დ. შ-ის მსჯავრდების ნაწილშიც, რომელსაც განაჩენი არ გაუსაჩივრებია და მიიჩნია, რომ მის მიმართ განაჩენით შერაცხული ბრალდება სარწმუნოდ არის დადასტურებული უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომელიც მოპოვებულია საპროცესო ნორმების დაცვით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულების -ლ. ი-სა და შ. გ-ის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტით, 567-ე და 568-ე მუხლებით,

#### და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულების: შ. გ-ის, ი. ა-სა და ლ. ი-ის ინტერესების დამცველი ადვოკატების -ე. რ-ს, ნ. ნ-ისა და ლ. ა-ს, აგრეთვე, ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ მ. ტ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 სექტემბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ლ. ი-ს "ამნისტიის შესახებ" 2009 წლის 20 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი -თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით -გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით. ამასთან, ამ კანონის საფუძველზე არ ხდება დამატებითი სასჯელების შემცირება.

მსჯავრდებულ შ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 16 მარტის განაჩენში მითითებული პატიმრობაში ყოფნის დრო -2007 წლის 23 იანვრიდან 2007 წლის 16 მარტამდე.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ამნისტია

### განჩინება

#15<sup>1</sup>-10

18 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით**

- ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ბ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინებაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 15 თებერვლის განაჩენით ვ. ბ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა:

საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით;

სსკ-ის 379-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით;

სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილებით - თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით;

სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ა", "ბ", "დ", "ე" ქვეპუნქტებით - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით;

სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 6 წლის ვადით;

საბოლოოდ მსჯავრდებულ ვ. ბ-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით.

მას სასჯელის ათვლა დაეწყო 2004 წლის 10 მარტიდან.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილებით ვ. ბ-შვილისათვის სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნულ სასჯელზე გავრცელდა "ამნისტიის შესახებ" საქართველოს სსკ-ის 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონი და ამ მუხლით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახვევდა.

ზემოაღნიშნული დადგენილება კერძო სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა სასჯელადსრულების დაწესებულების დირექტორმა, მან ითხოვა რუსთავის საქალაქო სასამართლოს დადგენილების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო პალატის სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინებით კერძო სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილება და მსჯავრდებულ ვ. ბ-შვილს მოსახდელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 15 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელი.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ვ. ბ-შვილმა, რომელმაც ითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინების გაუქმება და მის მიმართ "ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის გამოყენება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა საქმის მასალები და შეამოწმა მსჯავრდებულ ვ. ბ-შვილის კერძო საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ვ. ბ-შვილს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შენახვა, გადაზიდვისათვის.

საკასაციო პალატა ეთანხმება თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებას და მიიჩნევს, რომ "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონის მიხედვით, ამნისტია უნდა შეეხოს ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შე-



ნახვა, გადაზიდვის ჩამდენ პირს, ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ვ. ბ-შვილს მსჯავრი დაედო ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შენახვა, გადაზიდვისათვის, აღნიშნული კანონი მასზე არ უნდა გავრცელდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ სავსებით მართებულად მიიჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. ბ-შვილის მიმართ არ უნდა გავრცელდეს "ამნისტიის შესახებ" 2008 წლის 21 ნოემბრის საქართველოს კანონი, რასაც ეთანხმება საკასაციო პალატა და თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება არის კანონიერი და იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ვ. ბ-შვილის კერძო საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის განჩინება, რომლითაც გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 დეკემბრის დადგენილება და ვ. ბ-შვილს მოსახდელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 15 თებერვლის განაჩენით დანიშნული სასჯელი, დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.